პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 სექტემბერი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 40-ე წელი • № 213 (14513)

ხუთწლედი — ვადამდე!

მახარაძელთა ნოგამი

მახარაძელმა მეჩაიეებმა ვადამდე შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა

•

საუბარი საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველ მდივანთან ალ. თოიძესთან

□

მიმდინარე წლის გეგმებმა და ამოცანებმა მახარაძელ მშრომელთა საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. მათი შესრულებისათვის ბრძოლა ყველა უბანზე ფართოდ გაჩაღდა. ყოველ ახალ წარმატებას რაიონის მშრომელები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს მიუძღვნიან განაცხადა „კომუნისტს“ თანამშრომელთან საუბარში პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ალ. თოიძემ.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დარაზმეს კომუნისტები, მასები დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

ასეთ ვითარებაში გავიდნენ „მწვანე ოქროს“ ფრონტზე მეჩაიეთა ათასეულები, მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფის პირველ დღეებში მოულოდნელად ტემპერატურამ ზამთარი შეგვახსენა, ხოლო შემდგომ ხანგრძლივმა გვალვებმა ბუჩქები სერიოზულად დაზიანა. ეს იყო მეჩაიეთა ნებისყოფის, მამაცობის, შრომისუნარიანობის მკაცრი გამოცდა, უნდა ითქვას, რომ მახარაძელებმა წარმატებით ჩააბარეს ეს გამოცდა.

12 სექტემბრისათვის რაიონში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 39.500 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად წლიური გეგმის გათვალისწინებული 39.230 ტონისა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 8.000 ტონით მეტი ფოთოლი, მნიშვნელოვნად აჭარბებენ ნედლეულის ხარისხი.

შრომის ავანგარდში იდგნენ კომუნისტები და კომკავშირელები. სასახელო მაჩვენებლებს მიაღწიეს შრომის ვეტერანებმა და სოციალისტური შრომის გმირებმა. განსაკუთრებით ისახელეს თავი წლის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი მ. ფრაგმელიძე.). აქ ყველა პირობა შექმნეს უმი მოსავლის მიღებისა და უდანაკარგოდ აღებისათვის. შრომელმა მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს ჩააბარეს 2.100 ტონა ფოთოლი ნაცვლად 1.800 ტონისა. კიდევ 60 ტონა მოიკრიფება.

აქვს ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ბ. ფეფლიძე), რომელიც სახელმწიფოს გეგმით 3.000 ტონა ჩაის ფოთოლს აბარებს. ნატანელებმა კვლავაც გამოიჩინეს თავი და 3.100 ტონა „მწვანე ოქრო“ შემატეს სამშობლოს ხვავსა და ბარაკას.

ნაყოფიერად იშრომეს წელს ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ფ. მგელაძე) მეჩაიეებმა, რომლებმაც მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 2.200 ტონა ფოთოლი, რაც გეგმის 102 პროცენტს შეადგენს. მათ გადაწყვეტილი აქვთ დამატებით მოკრიფონ 80 ტონა. თავიდანვე კარგი სტარტი აიღეს მთისპირის (თავმჯდომარე ბ. ბაშალიმიძე), მზიანის (თავმჯდომარე ი. ფეფლიძე), მელექედურის (თავმჯდომარე შ. ბაბილოძე) და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ძველი და ახალი გვარდიის წარმომადგენლებმა სოციალისტური შრომის გმირებმა ტ. ჩხაიძემ, დ. ტაკიძემ, ს. ქურიძემ, ზ. ბაჯელიძემ, კ. ნაცვალაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. სკამეიკაიშვილმა, ლენინის ორდენოსანმა ჩ. ანრშიძემ, შ. ფაკინიამ, ლ. შარაძემ, კომკავშირელებმა ს. ნიკოლაიშვილმა, თ. მელუამ, მ. კაპანაძემ და მრავალმა სხვამ. მათ გვერდით იდგნენ ქალაქის შუშა-მოსამსახურეები და ინტელიგენცია — ექიმები, მასწავლებლები, რომლებიც ეთმიენენ თავისუფალ საათს საერთო მიზნისათვის თავდადებულ ბრძოლას ახმარდნენ.

თავისი კაბედული სიტყვა თქვა ჩაის საკრფიმა მანქანა „საქართველომ“, რომელსაც ყოველწლიურად ფართო ასპარეზი ეთმობა და მეჩაიეთა საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. ამ მანქანით მოიკრიფა 1.400 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი. განსაკუთრებული მონდომებით, შეუფერხებლად მუშაობდნენ ზ. ურუშაძის, ვ. სანაძის, ა. შათირიშვილის მანქანები, რომლებმაც 30-35 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და ათობით მკრეფავი გაათავისუფლეს ძმიმე შრომისაგან.

დიდი მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ მეზობელი რაიონების შუშა-მოსამსახურეები და ტექნიკუმების მოსწავლეები, რომლებმაც სერიოზული დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს საბჭოთა მეურნეობებს.

ამ წარმატებების მოპოვებაზე კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ჩაის მრეწველობის მუშაკთა თავდადებულმა შრომამ, საერთო ინტერესების გათვალისწინებით. საქმის კარგად წარმართვამ, განსაკუთრებით დაწინაურდნენ გურიანთის (დირექტორი ვ. ტაკიძე), მახარაძის № 1 (დირექტორი გ. ლიქაკა), ნაგომრის (დირექტორი საბჭოთა კავშირის გმირი ს. ჩხაიძე) და მთელი რიგი სხვა ფაბრიკები. უნდა ითქვას, რომ ნელფეულის მიღება-გადამუშავების პროცესში რაიმე საგულისხმო შეფერხება არ ყოფილა.

ახლა, სასოფლო-სამეურნეო არტელის ანანიმუმი წესდების პროექტის განხილვის დღეებში უფრო მაღალია მშრომელთა ენთუზიაზმი და პატრიოტული შემართება. მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გააგრძელონ და გაამდიდრონ სახელოვანი შრომითი ტრადიციები, წარმატებით შეასრულონ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ყველა დარგში ნაკისრი ვალდებულებები.

• • •

სურათზე: მახარაძის რაიონის ნაგომრის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე მ. დოლიძე, რომელმაც ჩაის კრეფის წლიური გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულა.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

პირადი მაგალითი

ახლა, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების დღეებში, ხალხის შეგნებული შრომით, შემოქმედებითი აღმშენებლობით ვლინდება ერთგულება ლენინის საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი. ხუთწლიანი გეგმის ამოცანების გადაწყვეტაში ნოვატორები დროს უსწრებენ და პირადი მაგალითით გაბედულად კვალავენ წინსვლის გზებს. მათი დეკეზი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სიტყვები: „არა არის რა იმაზე ამაღლებული და კეთილშობილური, ვიდრე ბაძავდე ლენინს, თავდადებულად იბრძოდე საქმისათვის, რომელსაც მან სიცოცხლე მოანმარა“.

ლენინურად შრომისა და ცხოვრების მოწყობის პირად მაგალითს იძლევიან პირველ რიგში კომუნისტები. მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ იცნობენ ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 1 ამწყობ-მექანიკური საამქროს რაციონალიზატორთა — კომუნისტური შრომის ბრიგადის საქმეებს. მას სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი, კომუნისტი ი. ბაზარაძე. ეს ბრიგადა არაერთი შესანიშნავი საქმის ინიციატორია. ბრიგადამ ორ წელიწადსა და 10 თვეში შეასრულა ხუთწლიანი დავალება. ახლა მისი წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ ბელადის დაბადების 100 წლისთავისათვის შეასრულონ თავიანთი ორი ხუთწლედი.

კომუნისტებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა — მეჩაიე თ. ყუფუნიამ, მქედელმა კ. ილურიძემ, მაღაროელმა პ. გოგიტიშვილმა დიდი ხანია შესასრულეს თავიანთი ხუთწლედი და ახლა მომავლის ანგარიშში მუშაობენ. ამას წინათ შესანიშნავი ინიციატივით გამოვიდა რუსთაველი კომკავშირელი ელენე კოწიწაშვილი. ეს მოწმობს იმას, რომ კომუნისტები და კომკავშირელები თავიანთი საწესდებო მოვალეობის ერთგული არიან.

ასეთი კომუნისტები, კომკავშირელები ჩვენს რესპუბლიკაში ერთეულები როდია. ისინი მრავლად არიან. ამიტომაც მათს საქმეებს, როგორც მაგალითს, ხშირად იყენებენ პარტიული ორგანიზაციები თავიანთი იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში.

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ განიხილეს საკითხი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესისა და ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებათა შესახებ. დაარსდა ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელი, საიუბილეო მედალი „მამაცური შრომისათვის. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად“. ცხადია, ეს ღონისძიება ახალ ეტაპს შექმნის საიუბილეო შეჯიბრებაში. მას უკვე ფართოდ ეხმაურებიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები.

ახლა, როცა ყოველდღე უფრო ძლიერ ჩადგება სოციალისტური შეჯიბრება, თვითეული კომუნისტის, ყველა პარტიული ორგანიზაციის მოვალეობა ის არის, რომ სათავეში ჩუდგნენ მასების შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობას. მთავარია ბრძოლა ხუთწლიანი გეგმების შესასრულებლად. უდავოა, რომ დიდი იუბილესათვის გაჩაღებული შეჯიბრება კვლავაც წარმოშობს შრომის ახალ ნოვატორებს, წარმოების ორგანიზაციის, ამხანაგური ურთიერთდახმარების ახალ ფორმებს. პროფკავშირებთან, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით უნდა შეისწავლონ ეს გამოცდილება, შემდეგ — გაავრცელონ, პროპაგანდა გაუწიონ მოწინავეთა მაგალითს.

იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ საიუბილეო ვალდებულებათა შესრულება ბევრად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობაზე, თვითეული კომუნისტის შეგნებულობის ამაღლებაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, პარტიული ჯგუფების მოქნილ მუშაობას. ისინი მოქმედებენ იქ, სადაც გამარჯვება იქნედება — საწარმოო უბნებზე, ფერმებსა და ბრიგადებში. სწორედ პარტიულმა ჯგუფებმა ხელი უნდა შეუწყონ პირადი მაგალითის გამოვლინებას, თუ საჭიროა დროულად დაეხმარონ, მხარი დაუჭირონ რიგითი კომუნისტებისა და უპარტიო ადამიანების ინიციატივას, ალაგმონ დისციპლინის დამრღვევნი, პირადი მაგალითით წაახალისონ დანარჩენნი.

კომუნისტთა მოვალეობაა დაიწესონ მტკიცე კონტროლი საიუბილეო ვალდებულებათა შესრულებისადმი, გაწმინდონ გზა ყოველივესგან, რაც შეჯიბრების მონაწილეებს აბრკოლებს. უნდა განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა. ნამდვილად პრინციპულმა, კონკრეტულმა კრიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო ცალკეული ნაკლოვანებებისა და შეცდომების გამოვლინებას, არამედ მათს გადალაგებასაც. კრიტიკა, როგორც სამკურნალო წამალი, უნდა გამოვიყენოთ პროფილაქტიკის მიზნითაც, რომ დავიცვათ ჩვენი ადამიანების ჯანსაღი სული ბურჟუაზიული იდეოლოგიის მავნე ბაცილების შეღწევისაგან. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უნდა მოიწყოს მასობრივი რეიდები, იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მიმდინარეობს საიუბილეო ვალდებულებათა შესრულება, საწარმოო ფონდების გამოყენება.

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები ღრმად სწვდებიან საწარმოთა საქმეებს, ზრუნავენ შეჯიბრების შედეგების საჯაროობისა და შესადარებისათვის, იქ საქმეც კარგად მიდის. ამ მხრივ მაგალითს იძლევიან თბილისის, რუსთავის, ჭიათურის, ტყვარჩელის და სხვა სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები.

იუბილესათვის მზადებაში შესანიშნავი წარმატებებისა და მიღწევების საერთო სურათმა არ უნდა მიიჩქმალოს ჩვენი ხარვეზები და რღვლოვანი მხარეები. ამიტომ კომუნისტებს უფლება არა აქვთ დაივიწყონ ლენინური ანდერძი, რომ იუბილეების, დღესასწაულების საუკეთესო წესი მთავარი უურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ ამოცანებს.

ცხადია, ნაკლოვანებები მუშაობაში მეტია იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია სუსტად იჩენს თავს საქმეში. ზოგჯერ გარეგნულად გვეჩვენება, თითქოს ყველაფერი რიგზეა: პარტიული სხდომებს მართავს, ეწყობა კრებები, დადგენილებებსაც იღებენ, სინამდვილეში კი მდგომარეობა უცვლელია. ეს იმიტომ ხდება, რომ გადაწყვეტილებანი ოქმებში რჩება, ჩამორჩენის მიზეზები იფარება მაღალფარდოვანი სიტყვებით: „დაეკალის“, „მიეთითოს“. მაგრამ ფაქტიურად მკაცრად არ ისჯებიან დისციპლინის დამრღვევები. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აამაღლონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, ვალდებულებათა შესრულებისათვის, ამ მიზნისათვის უნდა ავამოქმედოთ შინაპარტიული მუშაობის ყველა ფორმა და მეთოდი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების გეგმაში შედის არა მარტო შრომითი ვალდებულებანი, არამედ სოციალისტური განვითარების ამოცანები და იდეურ-აღმზრდელობითი ღონისძიებანი. ამიტომ ბრძოლა მათი განხორციელებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც შრომითი ვალდებულებებისათვის. პოლიტიკური განათლების ლენინური კითხვა, თეორიული კონფერენციები, ლენინური კვირეულნი, სალექციოები, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან და სხვ. ცხადია, ყველაფერი ეს კარგია. **მაგრამ მთავარია არა რაოდენობა, არა ფორმა, არამედ ხარისხი, იდეური შინაარსი.** თვითეულ ასეთ ღონისძიებას უნდა ჰქონდეს ქმედითი ხასიათი და ხელს უნდა უწყობდეს მასების აღზრდას ლენინიზმის სულისკვეთებით.

ლენინურ ჯგროვის ვარსკვლავ 100

ქვანახშირის ეშელონები ტყიბულიდან

ტყიბული. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი (უფროსი ლ. ობოლაძე, მთავარი ინჟინერი ო. ბუბამვილი). საწარმომ 5 სექტემბრისათვის — ვადაზე 25 დღით ადრე უპატაკა ქვანახშირის მოპოვების 9 თვის დავალების შესრულება. მიმდინარე წლის გაფვლილ რვა თვეში შახტმა ფაბრიკა-ქარხნებს გაუგზავნა 57 ეშელონი ზეგეგმითი „შავი ოქრო“.

ლენინურ შრომითს ვახტზე თავი გამოიჩინეს სამთო ინჟინერებმა შ. ჩუბინიძისა და ო. გურეშიძის უბნების კოლექტივებმა; ცალკეებმა, რომლებსაც ი. ბერეგაძე, ი. ბაბრიაძე, ე. ბაბანინა ხელმძღვანელობენ. წარჩინებული მეშახტეები ნ. თევდორაძე, ა. ბოკორაშვილი, ი. საყვარელაძე, მ. რობაქიძე, ი. არჩვაძე ყოველდღიურად ზეგეგმათს. სათბობს იძლევიან, ორჯონიკიძელები 7 ნოემბრისათვის თერთმეტი თვის დავალების შესრულებას გვპირდებიან.

□

გაზი — სოფელს

თელავი. (საკ. კორ.). საქმთავარგაზის სამმართველოს № 3 ტრესტის კოლექტივი თვალსაჩინო წარმატებებს ღებულობს ალაზანდარეთის რაიონების გაზიფიკაციის საქმეში. მარტო მიმდინარე წლის 8 თვეში ექაურმა მუშაკებმა სოფლად 1.497 გაზდანადგარი დაამონტაჟეს, გეგმა კი 1.130 გაზდანადგარის მონტაჟს ითვალისწინებდა; გეგმით გათვალისწინებული 1.200-ის ნაცვლად 1.300 დანადგარი დამონტაჟდა რაიონულ ცენტრებსა და დაბების ტიპის დასახლებებში.

ცისფერი გაზის ოსტატებმა რაციონალიზატორული წინადადებების, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით კილოგრამი საწვავის შემოზიდვის, ადგილზე მიტანისა და სხვა სახის დანახარჯები 1,3 კაპიკით შეამცირეს და გეგმის გადამეტებით 37,5 ათასი მანეთი მოგება მიიღეს.

გეგმის გადამეტებით

თერჯოლა. (საკ. კორ.). საიუბილეო ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ თერჯოლის რაიონის საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც რვა თვის გეგმის გადამეტებით ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

გამართულად და რენტაბელურად მუშაობს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ჩხარის იატაკის ფილების ქარხნის კოლექტივი, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ს. მხეიძე უძღვება. ჩხარელმა კერამიკოსებმა რვა თვეში ცხრა თვის დავალება შეასრულეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ შრომითს წარმატებებს აღწევს ტყიბულჭკნის კოლექტივი (დირექტორი საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ვ. კაკაბაძეი). ენერგეტიკოსებმა რვა თვის გეგმის გადამეტებით მილიონობით კილოვატ-საათი ელექტროენერგია გამოუშვეს. ისინი იბრძვიან, რომ წლიური გეგმა შვიდი ნოემბრისათვის შეასრულონ.

პროდუქციას გეგმის გადამეტებით უშვებენ აგრეთვე თერჯოლის მექანიკური ქარხანა და ჩაის ფაბრიკა, ეკლარის ქვის კარიერების სამმართველო.

პირველი კლასის ავეჯი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ლენინურ შრომითს ვახტზე დგას, რვა თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათასობით მანეთის პროდუქცია. მეავეჯეებმა გეგმასთან შედარებით 4,2 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 372 ათასი მანეთი მოგება მიიღეს. ქუთაისური ავეჯი მთლიანად პირველი კლასისაა.

ვალდებულება შესრულებულია

ჭიათურა. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები — ჭიათურელი მაღაროელები პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. მათ ხუთწლედის განვლილ სამ წელსა და რვა თვეში უკვე დაამზადეს 447.742 ტონა ზეგეგმითი სასაქონლო მარგანეცი და გაანადგურეს ბელადის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულება.

მაღალნაყოფიერად შრომობს ახალი ათხვისის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ინარჩუნებს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე ორჯონიკიძის, კალინინის, დომიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები.

დარბაზობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მესამე დღეა თბილისში სტუმრად არის კანადის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ამხ. ტიმ ბაკი მეუღლითურთ. იგი ეცნობა რესპუბლიკის ეკონომიკას, კულტურას, ღირსშესანიშნავ ადგილებს.

12 სექტემბერს ამხ. ტიმ ბაკი მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. პ. ა. **როდიონოვი** გულთბილად მიეგება საერთაშორისო კომუნისტური და ფუშათა მოძრაობის ერთ-ერთ უხუცეს მოღვაწეს, კანადის კომუნისტური პარტიის ვეტერანს.

საუბრის დროს, რომელიც გულითად და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, პ. ა. როდიონოვმა ტ. ბაკს გააცნო საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარება, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა, ესაუბრა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებაზე.

ამხ. ტ. ბაკმა ილაპარაკა კანადის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის შესახებ.

ტ. ბაკმა გაუზიარა საქართველოში სტუმრობის შთაბეჭდილებანი და თქვა, რომ მან და მისმა მეუღლემ საქართველოში ბევრი საინტერესო რამ ნახეს და შეიტყეს და წუხან, რომ ასე მოკლე ხნით ჩამოვიდნენ ამ მშვენიერ მხარეში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ბ. **სტურუა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ამხ. ნ. ვ. **ფაბკოვსკი**, რომელიც სტუმარს ახლავს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობისას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. პ. ს. **გიორხელიძე**. (საქდესი).

სამშობლო პატივს სცემს სახელოვან ტანკისტებს

12 სექტემბერს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის საზეიმო პაროში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელებისა და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ტანკისტთა დღეს.

კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **შ. ყარყარაშვილი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი **თ. სტეფანენკო**, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

□

იზრდება ქარხნის პროდუქცია

ფუნთეცის სახლთსამშენებლო კონვეიერიდან ჩამოდის ცხრა და თორმეტსართულიანი სახლები. თვითეული სახლი გათვალისწინებულია 144 ან 217 ოჯახისათვის. გაუმჯობესდა ბინების დაგეგმვა. უფრო ვრცელია სამზარეულოები, შესასვლელები, მოხერხებულია ოთახები.

ვარშავის კომბინატი, რომელმაც შეიძინა ხუთსართულიანი შენობების ჩქაროსნული მონტაჟის გამოცდილება, წარმატებით იყენებს ამას ახალი სახლების აშენების დროს.

ფონეცის ახალგაზრდა საწარმოების მიერ აშენებულ სახლებში ახლა უკვე ცხოვრობს 70 ათასი კაცი. (საკდესის კორ.).

უნივერსალური ტრაქტორი

ხარკოვი, 11 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაში დაიწყო ახალი „ტ-25“ თვლიანი ტრაქტორის სერიული გამოშვება. მან შეცვალა წარმოებიდან მოხსნილი წინანდელი მანქანა „დტ-20“.

ჩქაროსნულ უნივერსალურ „ტ-25“ ტრაქტორს ფართოდ გამოიყენებენ სათოხნი და ტექნიკური კულტურების მინდვრებში, ბოსტნებსა და ბაღებში. მისი მწარმოებლობა თავის წინამორბედთან შედარებით ოცი პროცენტით მეტია.

გათვალისწინებულია (საველე პირობებში) წინა და უკანა თვლების ლიანდის, საგზაო ღერძის სწრაფი და ადვილი რეგულირების შესაძლებლობა.

წლის დამლევამდე ქარხნის კოლექტივმა ქვეყნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის უნდა დაამზადოს ათი ათასი „ტ-25“ ტრაქტორი.

ლიხაჩოვის სახელობის ქარხანა რიაზანის მახლობლად

რიაზანი. მახლობლად მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის ფილიალის მშენებლობაზე დაიწყო დიდი ტექნოლოგიური კომპლექსის აგება სამრეწველო ჩადინების გასაწმენდად. მომავალი საწარმოსათვის გაჰყავთ გზასადენი, თბოტრასა, რკინიგზა.

ფილიალი ყოველწლიურად გამოუშვებს ოთხმოცი ათას ტონა ნაგავს, რომელიც მოხმარდება ავტომობილების დეტალების დამზადებას. პირველი რიგის ობიექტები მწყობრში ჩადგება 1970 წელს.

საავტომობილო მრეწველობასთან პირდაპირი ურთიერთობა აქვს ქალაქ სკოპინსაც. ადგილობრივ ატომაგრეგატო ქარხანაში შენდება კორპუსი, რომელშიც დაიწყება ელექტროკაჟი ამორტიზატორების წარმოება ეიოლგისა და გორკის ქარხნების მსუბუქი მანქანებისათვის. (საკდესის კორ.).

ურალის მარქის ავიწყები

ნიაზეპეტროვსკი მ. ი. კალინინის სახელობის სამშენებლო მანქანების ქარხანამ საქართველოში გაგზავნა მაღლივი კოშკურა ამწის კონსტრუქციები. იგი გათვალისწინებულია ბიჭვინთის კონცხზე ჯანმრთელობის კერების მშენებლობისათვის.

ბევრ ქალაქში იცნობენ ამ საწარმოს მარკას. აქ გაკეთებულ ამწეებს შეუძლიათ ასწონონ 5-8 ტონა ტვირთი 66 მეტრამდე სიმაღლეზე. (საკდესის კორ.).

თბომავალი „ხო ში მინი“

საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, საბჭოთა კავშირის მეგობრის ამხანაგ ხო ში მინის ხსოვნის უკვდავსაყოფად სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრომ „კომუნისტის“ ტიპის 12.500 ტონა დედვეიტომის მშენებარე შრალტვირთიან თბომავალს მიანიჭა „ხო ში მინის“ სახელი. თბომავალი გადაეცემ შორეული აღმოსავლეთის საზღვაო სანაოსნოს.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

11 სექტემბერს მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. დელეგაცია მონაწილეობდა საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ხო ში მინის დაკრძალვაში, (საკდესი).

სოფიიდან — მოსკოვში

სოფია, 12 სექტემბერი. (საკდესი). გულითადად გაცილა დღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქმა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი.** დელეგაცია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოწვევით მონაწილეობდა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის დღესასწაულში.

საბჭოთა კავშირინდოეთის მოლაპარაკება

11 სექტემბერს მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო** შეხვდა ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს **დ. სინგს,** რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. (საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

საჰაერო ბრძოლები სუეცის არხის ზონაში

კაირო, 12 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. კუვალდინი იუწყება:

გუშინ მთელი დღის მანძილზე სუეცის არხის ზონაში მიმდინარეობდა დაძაბული საჰაერო ბრძოლები ისრაელისა და ეგვიპტის ავიაციას შორის. უმასუხო რა ისრაელის აგრესიულ გამოხდომებს, ეგვიპტის ავიაციამ სამჯერ დაბომბა ისრაელის ჯარების პოზიციები სინას ნახევარკუნძულზე. საჰაერო ბრძოლებში და ეგვიპტის საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია ისრაელის ოთხი თვითმფრინავი, ეგვიპტის ავიაციის თავდასხმების შედეგად მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მოუვიდა.

გუშინ 17 საათზე ადგილობრივი დროით, ნათქვამია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც მენის საგენტოს გადასცა, მოწინააღმდეგე კვლავ შეეცადა ძაირიდან თავს დასხმოდა ეგვიპტის ჯარების პოზიციებს სუეცის არხის ჩრდილოეთ სექტორში პორტ-საიდის სამხრეთ და დასავლეთ რაიონებში. ეგვიპტის ავიაციამ გზა გადაუღობა მოწინააღმდეგის მოიერიშე თვითმფრინავებს და გაჩაღებულ საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა ორი თვითმფრინავი.

ეგვიპტის ყველა თვითმფრინავი, აღნიშნულია განცხადებაში, დაბრუნდა თავის ბაზებში. ისრაელის ერთ-ერთი დაზიანებული თვითმფრინავი ჩამოვარდა სოფელ ტგგ ალ-ეზის რაიონში მანსურის მახლობლად. მფრინავი დატყვევებულია.

კაიროს პრესა ფართოდ აშუქებს გუშინდელი დღის ამბებს. გაზეთი „ალ-აჰრამი“ წერს, რომ საჰაერო ოპერაციებში მონაწილეობდა ეგვიპტის 102 ავიაგამანადგურებელი და ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი. მენ-ის საგენტოს გაზეთის კომენტარებში ხაზგასმულია, რომ ეგვიპტის ავიაციამ დაბომბა ისრაელის სამხედრო-საზღვაო ბაზა რას მესალა, რომელიც მდებარეობს სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე, საიდანაც ისრაელები ამას წინათ დაესხნენ თავს ეგვიპტელთა სანაპირო საგუშაგოებს ყურის დასავლეთ ნაპირზე.

□

ამერიკელი გენერლის ვიზიტი

ჟენევა, 12 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ შვეიცარიაში 4 დღის ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შტაბის უფროსი გენერალი უესტმორლენდი. იგი აპირებს გაეცნოს შვეიცარიის შეიარაღებული ძალების მდგომარეობას, ეწვევა მთელ რიგ სამხედრო სასწავლებლებს, აგრეთვე შეხვდება ქვეყნის სამხედრო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას.

ამერიკელი გენერლის ვიზიტმა შვეიცარიის საზოგადოებრიობის ფართო ფენების პროტესტი გამოიწვია. შვეიცარიის შრომის პარტიის ხელმძღვანელმა კომეტემმა ლოზანის სხდომაზე აღშფოთება გამოთქვა გენერალ უესტმორლენდის ვიზიტის გამო, რომლის სახელთან „დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში“.

ამერიკელი გენერლის შვეიცარიაში ჩამოსვლის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა შვეიცარიის 50 თვალსაჩინო მოღვაწემ.

იმის შიშით, რომ ამერიკელი გენერლის ვიზიტს მოჰყვება საპროტესტო დემონსტრაციები, სამხედრო დეპარტამენტმა უარი თქვა ვიზიტის ოფიციალური პროგრამის გამოცხადებაზე.

მაშვიელი ძალები ოლსტერში

ლონდონი, 11 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. უსტიმენკო გვატყობინებს:

ჩრდილოეთ ირლანდიაში განლაგებული ინგლისის საოკუპაციო ჯარების სარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ოლსტერში ჩავა ინგლისის ჯარების კიდევ ერთი მსროლელთა ბატალიონი. ოლსტერში ახალი მაშველი ძალების გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს ინგლისის მინისტრთა კაბინეტის დღევანდელ სხდომაზე, რომელიც ჰარტიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა მოიწვია.

ამჟამად ჩრდილოეთ ირლანდიაში განლაგებული ინგლისის ჯარების სარდალს გენერალ ფრელენდს თავის განკარგულებაში აყავს 18 ათასზე მეტი ჯარისკაცი და პოლიციელი. მაგრამ როგორც ლონდონში, ისე ბელფასტში მიიჩნიათ, რომ ეს საკმარისი არ არის იმ ბარიკადების აღების ოპერაციის განსახორციელებლად, რომლებიც იმართულია ოლსტერის უდიდესი ქალაქების მუშათა უბნებში.

დღეს დილაადრიან ინგლისის ჯარების მესანგრეთა ქვეგანყოფილებამ კაშნიანი მანქანებისა და ვერტმფრინავების დაცვით შეუდგნენ ბელფასტში ქუჩის ღობურების აღებას, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ ჩრდილოეთ ირლანდიის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძონ ბრძოლა სიღატაკის, უმუშევრობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ქალაქის მთელ რიგ რაიონებში ამ ქმედებისათვის მებრძოლთა ორგანიზაციებსა და კეთილი ნების ადამიანებს მოუწოდა 10 სექტემბრიდან მოაწყონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის განსვენებული პრეზიდენტის ხო ში მინის ხსოვნის ერთთვიური.

„მოითხოვეთ, რომ ამერიკამ სრულად და უპირობოდ გაიტანოს თავისი ჯარები და სატელიტები — რეგულარული ჯარებიდან, — ნათქვამია მიმართვაში, — მხარი დაუჭირეთ მოთხოვნას, რომ ცნონ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა, მხარი დაუჭირეთ მის ათპუნქტიან წინადადებას, რომლის მიზანია სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის გადაჭრა“.

ვალს დაფარავენ

ლონდონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). პერუს მთავრობამ გამოაცხადა, რომ ამერიკის ნაციონალიზებული კომპანიის „ინტერნეშნლ პეტროლეუმის“ ქონება გაიყიდება აუქციონით. მიღებული ფული შოხმარდება 690 მილიონი დოლარი ვალის დაფარვას, რაც „ინტერნეშნლ პეტროლეუმს“ არ გადაუხდია სახელმწიფოსათვის ნავთობის სიბადოთა 44 წლის უკანონო ექსპლოატაციის მანძილზე, ამას იუწყება რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ლიმიდან.

რეპრესიები საუდის არაბეთში

ბეირუთი, 12 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადრე ამბობენ, საუდის არაბეთის ხელისუფლები ბანგრძლივი დუმილის შემდეგ იძულებული გახდნენ ელიარებინათ, რომ ქვეყანაში არსებობსო ოპოზიცია ახლანდელი რეჟიმისადმი და რომ ხორცელდება ფართო რეპრესიები უმაღაყოფილოთა წინააღმდეგ. ჟურნალი ინფორმირებულ წრეებში აცხადებენ მრავალი დაპატიმრების ფაქტს, რომლებიც საუდის არაბეთში დაიწყო წლევანდელ ზაფხულში, თუმცა ცდილობენ მნიშვნელოვნად შეამცირონ დაპატიმრებულთა რიცხვი. ლიბანის პრესაში წინათ იუწყებოდნენ, რომ საუდის არაბეთში დაპატიმრებულთა რიცხვი 2 ათას კაცს აღწევდა. მათ შორის არიან არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრები. ეს მოწმობს, აღნიშნავენ აქ ოცხოელი მეთვალყურენი, რომ საუდის არაბეთის მმართველი წრეები სულ უფრო მეტი ეჭვით ეკიდებიან არმიას და მიიჩნიათ, რომ შექმნილ სიტუაციაში უფრო ქმედითი და საიმედო დასაყრდენი მონარქიული რეჟიმისათვის არის ახლოლდ ეროვნული გვარდია, რომელიც დაკომპლექტებულია ნეჯის ბედუინთა ტომებისაგან.

დივერსიების გზით

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). რადიოსადგურ ენ-ბისის კორესპონდენტმა გამოაქვეყნა სკანდალური ფაქტი ყბადაღებული „მწვანე ბერეტიანების“ — ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური დივერსიული ქვეგანაყოფების სამხრეთ ვიეტნამში მოქმედების შესახებ. როგორც კორესპონდენტი წერს, 1965 წლიდან „მწვანე ბერეტიანებმა“ ქვეყანაში სამასზე მეტი პოლიტიკური მკვლელობა ჩაიდინეს. მათ მსხვერპლთ შორის იყვნენ სამხრეთ ვიეტნამის მაღალი თანამდებობის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწენი, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით შეურთებული შტატების მმართველი წრეებისათვის სასურველი არ გამოდგნენ.

რადიოსადგურის ამგვარმა ცნობამ ჩიხში მოაქცია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო, კორესპონდენტთა დიდი თხოვნის მიუხედავად, პენტაგონის ოფიციალურმა პირებმა კატეგორიული უარი განაცხადეს რაიმე განმარტებაზე.

ინგლისის „ეროვნული სირცხვილი“

ლონდონი, 12 სექტემბერი. (საკდესი). მილიონზე მეტ ინგლისელთა ოჯახს არა აქვს თავშესაფარი, ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც ინგლისის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „შელტერმა“ გამოაქვეყნა გუშინ. ეს ორგანიზაცია სწავლობს უსახლკაროთა პრობლემებს.

„შელტერის“ დირექტორმა დ. ვილსონმა საბინაო პრობლემას ინგლისის „ეროვნული სირცხვილი“ უწოდა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან აგრეთვე განაცხადა, რომ სამი მილიონი ინგლისელი ახლა ჯურღმულებში ცხოვრობს.

ღვინოების საერთაშორისო კონკურსი

ბუდაპეშტი, 12 სექტემბერი. (საკდესი). ბუდაპეშტში დამთავრდა ღვინოების მე-6 საერთაშორისო კონკურსი. მსოფლიოს 22 ქვეყანამ საერთაშორისო ჟიურის სამსჯავროზე წარადგინა დაახლოებით ათასსუთასი ჯიშის ღვინო და კონიაკი. მათ შორის 104 ჯიში საბჭოთა კავშირმა წარადგინა.

ისევე როგორც წინა წლებში, მაღალი შეფასება დაიმსახურა საბჭოთა ღვინის ჭარხნებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პროდუქციამ. 20 ჯიშს მიენიჭა ოქროს მედალი. საბჭოთა კავშირმა დაიმსახურა ექვსიდან ერთი დიდი პრიზი, რომლებიც საერთაშორისო ჟიურიმ მიანიჭა.

კონკურსზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს აგრეთვე რუმინეთის, უნგრეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღვინოებმა.

ბოლოდ

ფაქტები

იორდანია

ავაზაკური თავდასხმები

ბეირუთი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ისრაელის მბედრიონი დღეს ორჯერ ბარბაროსულად დაესხა თავს იორდანიის მშვიდობიან სოფლებს.

როგორც იორდანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, მეორე თავდასხმა ნაშუადღევს მოხდა. ისრაელის ოთხმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა ვადი-ეს-სირის დასახლებულ პუნქტზე, რომელიც 11 კილომეტრზე მდებარეობს ამანის დასავლეთით. მაგრამ იორდანიის შეიარაღებული ძალების საზენიტო არტილერიის ცეცხლმა უკუაგდო ისრაელი მეკობრენი.

ჩილე

საგანგებო წესები

სანტიაგო, 12 სექტემბერი. (საკდესი). ჩილეს ატაკამის პროვინციაში შემოღებულია საგანგებო წესები.

ჩილეს ხელისუფლებამ ეს ღონისძიება განახორციელეს მას შემდეგ, რაც მთელ პროვინციაში გაიმართა სტუდენტთა მასობრივი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი მოითხოვდნენ პოლიციური რეპრესიების შეწყვეტას, განათლების საჭიროებისათვის საბიუჯეტო ასიგნებათა გადიდებას, ატაკამის დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამას წინათ მოხდა შეტაკება სტუდენტებსა და პოლიციას შორის, რომელმაც გამოიყენა ხელკეტები და ცრემლსადენგაზიანი გრანატები, ხუთი კაცი დაიჭრა, ორი მათგანი მძიმედ.

ინდოეთი

მოთხოვნები დააკმაყოფილეს

დელი, 12 სექტემბერი. (საკდესი). ნორმალური მუშობა განახლდა ბომბეის ნავსადგურში. რამდ ენ ი მ ე დღის განმავლობაში ინდოეთის ეს უდიდესი ნავსადგური ფაქტიურად უმოქმედოდ იყო მეზღვაურთა, მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცვის შედეგად. როგორც ინდოეთის პრესის საგენტო იუწყება, ინდოეთის მეზღვაურთა ეროვნულმა კავშირმა გუშინ გამოაცხადა, რომ ნავსადგურის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა გაფიცულთა მოთხოვნები ხელფასის მომატებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

სპანეთი

მასობრივი დაპატიმრებანი

ათენი, 12 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ათენში შეიტყვეს, რომ სამხედრო რეჟიმის კოლიტიკურმა პოლიციამ დაპატიმრა ცნობილი ბერძენი პუბლიცისტი და ჟურნალისტი ალექსანდროს კოქიასი. მარაგდობენ, რომ მისი დაპატიმრება დაკავშირებულია მასობრივი დაპატიმრებების სერიასთან, რომელიც დაიწყეს მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ დაპატიმრეს პროფესორი კარაპორგასი, რომელსაც ბრალად ედება ათენში გოგბების აფეთქების ორგანიზაცია. ამ რეპრესიების დროს დაპატიმრეს ათეოფილ ბერძენი მოქალაქე.

თურქეთი

აფეთქება შახტში

ანკარა, 11 სექტემბერი. (საკდესი). მგრგვინავი გაზის აფეთქების შედეგად ქვანახშირის შახტში, წინასწარ მონაცემებით, დაიღუპა ათამდე კაცი. ამას იუწყება ანატოლიის საგენტო.

კატასტროფა მოხდა დღეს დილით ერეგლის მახლობლად ზონგულდაკის ქვანახშირის აუზში, რომელიც თურქეთის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს.. აქ შეშლიან, რომ აფეთქების გამო დაზარალებული მეტი იყო, ვიდრე იუწყებოდნენ.

საჰაერო ბრძოლები სუეცის არხის ზონაში

12 სექტემბერი

რაზე წერს უცხოეთის პრესა

ყოველი მხრიდან

მთელი მსოფლიო პრესა დღეს ხაზს უსვამს ცნობას, რომ 11 სექტემბერს პეკინში გაიმართა შეხვედრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჩოუ ენ-ლაის შორის.

უცხოეთის პრესა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში. ბეირი გაზეთი გადაჭრით გმობს ისრაელის დანაშაულებრივ სამხედრო პროვოკაციებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის და სხვა არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ და სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ისრაელის აგრესიული მოქმედება არა მარტო აყოვნებს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გადაჭრას, არამედ შეიძლება გამოიწვიოს ახალი სამშობლო ომი თვითმფრინავი.

გაზეთები ხაზს უსვამენ ცნობას იმის შესახებ, რომ ეგვიპტის ავიაცია თავს დაესხა ისრაელის ჯარების პოზიციებს სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე. ეს თავდასხმა. იყო პასუხი ისრაელის განზრახულ აგრესიული მოქმედებისა.

საზღვარგარეთის პრესა აშუქებს ავტორის **დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ადისაბების მე-6 ასამბლეის შედეგებს.** გაზეთები აღნიშნავენ, რომ ასამბლეამ დიდი მუშობა გასწია კონტინენტის წინაშე მდგომი იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც უწინარეს ყოვლისა უკავშირდება ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კოლონიალისტური და რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ.

უცხოეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ კაპიტალის ქვეყნებში ფართოვდება საგეოლოგიო მოძრაობა. პარიზის **„პარიზიენ ლიბერე“** წერს, რომ „საფრანგეთის რკინიგზების მეშინერთა გაფიცვა, რომელიც უკვე საკმაოდ მასობრივი გახდა, შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს და დიდხანს გაგრძელდეს“. თავის მხრივ, **„პარი-ფუარ“** გამოთქვამს აზრს, რომ ეს გაფიცვა შეიძლება „გახდეს ახალ გაფიცვათა ლიტონატორი“.

ამერიკული გაზეთები ეხებიან ვიეტნამის თემას. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ ნიქსონის ისეთი უახლესი თახმეშებრძოლები, როგორიც ლაოსი, ბანკერი, უესტმორლენდი, აბრამსი არიან, ვიეტნამის საკითხში ადგანან პოლიტიკას, რომელსაც ჯონსონის ადმინისტრაცია ახორციელებდა. ამიტომ, წერს გაზეთი, „ამერიკის შეერთებული შტატები ვერ მიაღწევენ ოპტიმალურ მშვიდობას“.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ეხება რა თათბირს, რომელიც დღეს არის დანიშნული თეთრ სახლში ვიეტნამის საკითხზე, და იმოწმებს რა „კონგრესის წყარო-ებს“, წარმოაჩენს, რომ თათბირს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მონაწილენი მზრას დაიჭერენ ომის განგრძობის და ომის ტიტიანურ მოლაპარაკების გზით მოწესრიგებაზე. (საკდესი).

ალშფოთება და პროტესტი

ბონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). **ნიურნბერგის დემოკრატიული საზოგადოებრიობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის განზრახვამ მოიწვიოს თავისი წინასაარჩევნო „საბოლოო მიტინგი“ 26 სექტემბერს ამ ქალაქის საბაზრო მოედანზე, რომელსაც ნაციზმის წლებში „ადოლფ ჰიტლერის მოედანი“ ეწოდებოდა.** ამ განზრახვის წინააღმდეგ მკვეთრი პროტესტი გამოაცხადა დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ადგილობრივმა ორგანიზაციამ.

მან მიმართა ნიურნბერგის საქალაქო საბჭოს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის გეგმები „დამთავრების თავისა წინასაარჩევნო ბრძოლა ღია ცისქვეშ გამართული მიტინგით, აგრეთვე ჩინაღდნებიანი დემონსტრაციით უმაგალითო პროვოკაციაა ნიურნბერგის მოსახლეობის მიმართ“.

როგორც გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ წერს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნიურნბერგის ორგანიზაციამაც მოითხოვა, რომ აიკრძალოს ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის კრების გამართვა მოედანზე, „სადაც წინათ ადოლფ ჰიტლერი იდგებდა პარადებს“.

2 ათასამდე ანტიფაშისტმა მიიღო მონაწილეობა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო კრების საწინააღმდეგო საპროტესტო დემონსტრაციაში, რომელიც ოემშიდში გაიმართა. ესლინგენში ფონ ტადენის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში აგრეთვე ათასობით კაცი მონაწილეობდა.

როგორც გერმანიის კომუნისტური პარტიის ჰესენის ორგანიზაციის თავმჯდომარემ მიიერმა განაცხადა, იმ ანტიფაშისტთა ერთობლივი მოქმედება, რომლებმაც ხელი შეუშალეს ნეონაცისტთა თავყრილობების გამართვას ოფენბახში, დარმშტადტსა და მაინის ფრანკფურტში. „ეხლანის დემოკრატიული ძალების წარმატებაა“. მისი აზრით ეს მოქმედება „დასაწყისია ფართო კავშირისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მომავალი ანტიფაშისტური ბრძოლისათვის“.

ამერიკელი ბომბავლები ანგოლა



იარაღით ხელში მტკიცედ იბრძვის ანგოლელი ხალხი პორტუგალიელი კოლონიზატორებისაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი რაზმები, რომელიც შეიძლება ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მორაობის ხელმძღვანელობით, გაგზავნულ ოპერაციებს აწყობენ მტრის წინააღმდეგ.

განთავისუფლებულ რაიონებში ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის პატრიოტები ამყარებენ თავიანთ სამოქალაქო ხელისუფლებას, ქმნიან სასკოლო ქსელსა და სამედიცინო პუნქტებს, აწყობენ რევოლუციური სწავლების ცენტრებს.

სურათებზე: (მარცხნივ) — ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის პატრიოტები ეხმარებიან განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობას პირველდაწყებით მეცადინეობაში; (მარჯვნივ ზემოთ) — პატრიოტები განიხილავენ საბრძოლო ოპერაციის გეგმას; (მარჯვნივ ქვემოთ) — ერთ-ერთი სამხედრო ოლქის რაზმი მიდის საბრძოლო დავალებაზე.

საკდესის ფოტოკორესპონდენტი.

ვიეტნამის ომი

მაშველი ძალები ოლსტერში

ამერიკელი გენერლის ვიზიტი

ალშფოთება და პროტესტი

ამერიკელი ბომბავლები ანგოლა

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა

ჰელსინკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მშვიდობის მომხრეთა ყველა ეროვნულ კომიტეტს, მშვიდობისათვის მებრძოლთა ორგანიზაციებსა და კეთილი ნების ადამიანებს მოუწოდა 10 სექტემბრიდან მოაწყონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის განსვენებული პრეზიდენტის ხო ში მინის ხსოვნის ერთთვიური.

„მოითხოვეთ, რომ ამერიკამ სრულად და

ინგლისი „ეროვნული სირცხვილი“

ბოლოდ

ბეირუთი

ინგლისი „ეროვნული სირცხვილი“

ბუდაპეშტი

ბეირუთი

ბეირუთი

ბეირუთ

ქუთაისელ მწერალთა სიტყვა

ქუთაისს, ამ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ქალაქს, არაერთი სახელოვანი მწერალი ალუზრდია ქვეყნისათვის.

აკაკისა და გალაკტიონის სათაყვანო ქალაქში სამწერლო ორგანიზაცია 1923 წლიდან არსებობს.

მიდიხარ, მიაბიჯებ ამ მარადმწვანე, მაგრამ ზეოცნებე ქალაქის ქუჩებში, გახედავ ხან ბაგრატის ტაძარსა და უქმერიოს, ხან ახალთ-ახალ სახლებსა და საწარმოთა უზარმაზარ კორპუსებს და თითქოს ფესვის ადრე წასული ქუთათური პოეტებისა და მწერლების — დია ჩიანელის, ლადო ასათიანის, სევერიან ისიანის, შალვა კარმელის, მიქელ პატარიძის, ვალოდია გუგუშვილის, გიორგი ნაფეტვარიძის, გრიგოლ იმედაძისა და სხვა მრავალთა სტრიქონები. ისინი დღესაც ჩვენთან არიან ჩვენთან ერთად ინაწილებენ ამ ცხოვრების სიხარულს.

დღეს რესპუბლიკის მეორე დიდ კულტურულ ცენტრში კვლავ ჩქეფს ლიტერატურული ცხოვრება. საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება, რომელიც ახლო მდებარე ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრებ ლიტერატორებსაც ერთიანებს, დღითიდღე იზრდება და ივსება ნიჭიერი ახალგაზრდებით.

გამოვიდა ჩვენი პოეტების ა. სინაურის, გ. სამხარაძის, არ. გურჯიძის, დ. ახობაძის, რ. ბეროძის, ლ. ნუცუბიძის, ზ. კუხიანიძის, შ. ტოგონიძის, დ. ხუროძის, შ. ნიჟარაძის, მ. კაკიტელაშვილის და სხვათა ლექსების კრებულები.

მოთხრობების რამდენიმე საგულისხმო წიგნი გამოსცეს ს. ფხაკაძემ და გრ. ძოწენიძემ, მალე მკითხველი მიიღებს შ. ცანავას ახალ წიგნს.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში განხორციელდა ლ. სანიკიძის რამდენიმე პიესა, დიდგა რ. ბერეთიანის და სხვების პიესებიც, რომლებსაც გარკვეული წარმატება ხვდათ.

თოჯინების სახელმწიფო თეატრის რეპერტუარი თითქმის მთლიანად ქუთაისში მომუშავე მწერლების საბავშვო პიესებით ივსება. ჩვენმა ნორჩმა მაყურებელმა ნახა და შეიყვარა ზ. კუხიანიძის, შ. ნიჟარაძის, დ. ხუროძის, ე. ყორეოლიანის, რ. ბეროძის და ლ. ნუცუბიძის პიესები.

ჩვენი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები კ. მეძველია, ს. არველაძე, მ. ალავიძე, ვ. ქუთათელაძე და სხვანი თავიანთი წიგნებით, წერილებით, ლექცია-მოხსენებებით დიდად უწყობენ ხელს ახალგაზრდა მწერლების შემდგომ ზრდასა და დოსტატებას.

ჩვენ გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები — ჯ. ღვინჯილია, დ. ჭუმბურიძე, ზ. ტბანოიძე, ა. გვილავა, ლ. მესხი, ა. ყურაშვილი, ა. ნიკოლეიშვილი, ი. ბაზაძე, ნ. კვეიძე, ლ. ქემოკლიძე, მ. შენგელია, ბ. კუპატაშვილი, ე. მიქაძე და სხვ.

რა თქმა უნდა, ჩვენი მწერლების უპირველესი თემა დღეევანდელი ბაა. ყოველი ჩვენგანი ცდილობს ღრმად ჩასწვდეს თანამედროვე ადამიანის სულსა და მისწრაფებას.

ახლა ყოველი საბჭოთა ადამიანი განსაკუთრებული სიყვარულითა და გატაცებით შრომობს, ცდილობს რაღაც ახალი აღმოაჩინოს საკუთარ თავში და დაუშურებლივ შექმიტოს იმ დიდ სახალხო მოძრაობას, რომელიც გაშლილია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ქუთაისში მომუშავე მწერლები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სახელოვან იუბილეს.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ქუთაისის დიდ ლიტერატურულ ტრადიციებზე. ეს მართლაც საამაყოა, მაგრამ უფრო საამაყო იქნება, თუ ეს ტრადიცია განმტკიცდება და განვითარდება.

ამ დიდ ეროვნულ საქმეში კი მეტი დაბმარება და მხარდაჭერა გვჭირდება საქართველოს მწერალთა კავშირისაგან.

ქუთაისი, მისი სამწერლო ორგანიზაცია, მისი ყოველდღიურად მზარდი კულტურული ცხოვრება ღირსია იმისა, რომ აქ არსებობდეს ლიტერატურული ორგანო და გამომცემლობა.

პოეზიის აკვანი კვლავ ირწევა. ამ აკვანთან თქმული ნანინა ესმის ყველას, ვინც ქუთაისში ეზიარა პოეტური სიტყვის მადლს, იგი უნდა ესმოდეს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური მწერლობის სიცოცხლე და მზეგრძელობა.



სურათზე: ქუთაისელ მწერალთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან — ჯ. ღვინჯილია, დ. ახობაძე, ს. ფხაკაძე, ლ. ნუცუბიძე, დ. ჭუმბურიძე, რ. ბეროძე, შ. ნიჟარაძე, ა. გურჯიძე.

ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.

პოეზიის ქალაქის სუნთქვა

დავით კვიცარიძე,

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ბალიბთა შთამომავალნი

არჩილ გურჯიძე

ქართული ავტოგენერალის მფლობელ ახალგაზრდობას

ხანდახან, როცა სულ მარტო ვრჩები,
ირჩევ სასურველ ფიერის ამბავს. —
ბალიბნი ბამბრენ
ნლები
და ვიხედები უკან თამამად.

გასრულებულ სოფლის კალთიდან,
მაღაროების შავ-შავ ხვრელებით
მე გავიარე ბევრი ქარ-ყინვა,
მეც დაკოჭილი მაქონდა ხელები...

მეც მიშრომია, მეც მიბრძოლია,
მეც მქონდა სევდა გულის კუთხეში.
და ზოგჯერ ახლოს არვინ მყოლია
თუნდ თბილი სიტყვით ეცა ნუგეში.

მკლავს და გონებას ერთად
მიღლიდა
ნათესავი მძიმე ჩემი არჩივი...
და მწამდა გარჯით, წლების
სიღრმიდან,
გზას გავეკვლევდი ერთი არჩილიც.

და გავეკვლიე, და არ მსურს კვნესა,
ჩემი ბილიკის აკეთროვნებით
მე მხოლოდ ვხარობ, რადგან ამ
ქვეყნად
ვცხოვრობ სპეტაკი კაცის
ცხოვრებით...

და თქვენ რომ გიცქერთ ახლა,
ბიჭებო
და გოგონებო თვალგაშრიანნო, —
სულ სხვა ოცნების ცაში ვიჭრები,
სულ სხვა ოცნების ბაღში
ვმრიალებ!..
თქვენ მზე აანთეთ, სხვა მზე
ფიცხელი...
თქვენნი მიზნები ასე დიდია!..
როგორ გაგიშუმდე, როცა გიცქერით,
როცა ხელებში ცეცხლი გინთიათ!..
დიდი შენება ღვივის აისში
და შიგ თქვენი ბმა ისე
მჭეხარებს, —
რომ მე მგონია ჩემს ქუთაისში
ვეღარ ვიხილავ თქვენ ტოლ
უქნარებს.

დასცხეთ, თქვენს ნაჭედს უცდის
მრავალი,
სწამთ ქუთათური გასწვევს,
გაუძლებს...
თქვენ ხომ, ხალიბთა შთამომავალნი,
სწერთ ისტორიის ახალ
თავფურცლებს.

ვწეროთ!...
დიდ საქმეს
არ უსვარს კვნესა,
წლებში ისევდაც ავციხროვნდებით!..
თქვენ გაგიმარჯოთ, რადგან ამ
ქვეყნად,
იღვწით და ცხოვრობთ ნამდვილ
ცხოვრებით!

ბალიბთა შთამომავალნი

დომენტი ახობაძე

ბაღდასასვლელი

— ერთი მოიწი, მეზობელო,
აქეთ ღობესთან,
მარტო ვარ სახლში,
მარტოობა, რა ვქნა, მომბეზრდა.
და
ნადდ მეზობელს ღიმით, მხარგაშლილ,
ვეპატიჟები ნათელ ჯარგვალში.
ის თვისკენ მქაჩავს,
მე მას ჩემკენ, გულით ქებულით.

ბოლოს ჩამოყრის აკეცილ შარვალს,
და დამთავრდება კიდევაც დავა:
გადმოაბიჯებს ვადასასვლელს გაღიმებული.
თვითონვე იცის
ადგილი ქოთნის.

მე ჭურიხაკენ
გავრბივარ დოქით.
დაბალი სუფრა ოთრახუშით გადამწვანდება.
აბა, გიყვარდეს, სადღეგრძელო, მოდის, ხვავდება
და კრიმანჭულნი დაგვილამდება...

— ერთი მოიწი, მეზობელო,
აქეთ ღობესთან,
მარტო ვარ სახლში,
მარტოობა, რა ვქნა, მომბეზრდა, —
ახლა პირიქით მიხმობს მხარგაშლილი,
მეპატიჟება თავის ჯარგვალში...

მიმოიხედავს, უცნო ვინმეს ხომ არ ესმისო,
და საიდუმლოდ მეუბნება: ჩემი ელისო
შეპყვარებია იმ შავტუხას
(იცნობ შენ კობასს!),
გამოგვადგება ვითომ სიძედ? გაფიცებ ძმობას?

და ვიხრეკთ სახიმოს ხასიათს
ყოველგვარ წვრილმანს
(სახურავებზე ფერხულს ულის ზაფხულის წვიმა).
ვდავობთ და ვდაობთ,
აეტუზნენ კედელს ლანდები.

ხან ის ბრაზდება,
ხან მე ვბრაზდები.
და ასე ცხუნება ტაბილი კვერი ახალგაზრდების.
მერე კი ვლოცავთ
(ის დალოცავს თქვენგანაც ელის).
ვინაც პირველმა მოიგონა გადასასვლელი!
და თანაც ვამბობთ: ნუთუ ასე ძნელია მართლა,
ამ პლანეტაზე მიმოფანტულ
ათასეული ხალხთა,
შორისაც ჩადგან ამნაირი გადასასვლელი,
და ტყვიის ნაცვლად, ატომის ნაცვლად,
ერთმანეთს გრძნობით გაუწოდონ
სავსე თასები!

ბალიბთა შთამომავალნი

ლილი ნუცუბიძე

იეკვავილე და იგაზაფხულე

მინდა მზის ჩქერით უბე ავივსო
და ცას შევეება ოქროს საყურედ.
ჩემო როინო და ქუთაისო,
იეკვავილე და იგაზაფხულე.

მე მაგვარს შენი ბაღრების ჩქრო,
ბესარკის ჩანგის ეზოთ დამწვარო,
ჩემო ქალაქო, ხატებიგ ჩემო,
დედის გულივით ალალ-მართალო.

ვინა თქვა, ჩემო, დაბერდი თითქოს,
ხარ საქართველოს უცდავი ფესვი,
ვინც შენს ხვალინდელ ცისკრიზე ფიქრობს
ალალი იყოს მისთვის ეს ლექსი.

დედა ხარ, შენი სიკეთით ვხარობ,
შვილი ვარ, მანთებ და გზას მასწავლი,
დავწოფებულვარ შენს ოკვდავ წყაროს
სიყვარულით და ლექსით დამწვარი.

სულ ვედგას დარი ბარდისფერცლობის,
კვირტების ფეთქვა ზეცის ფიცარ,
შენ სიყვარული იცი უჭერობი,
შენ სიძულვილი არ შეგიძლია.

ახლა ულექსოდ როგორ გავჩერდე,
შენთვის სიკვდილიც არ გამეძნელოს.
ვინც შენ გამაჩენს, ვინც შენ გაშენებს,
ამისი იყოს ეს სადღეგრძელო.

ბალიბთა შთამომავალნი

ბიბი მეფისაშვილი

გალაკტიონის პირველი წიგნი

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ცხოვრება სათუთ ძაფებით არის დაკავშირებული ქუთაისთან. აქ გაძალა მან თავისი პოეტური ლმაფრენის ფრთები, მიიღო პირველი ლიტერატურული ნათლობა და თამამად გამოვიდა ახალი პოეზიის ფართო გზაზე. გალაკტიონის სადებიუტო ლექსი იყო „პირველი მაისი", რომელიც მან წაიკითხა მოსწავლეთა არალეგალურ კრებაზე ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევთა შორის. მისი პოეტური ბიოგრაფია ღრმად განმსჭვალა რევოლუციური პათოსით, შავი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით.

ახალგაზრდა პოეტის ლექსი შთაგონებული იყო ღრმა სოციალური ოპტიმიზმით, იგი გამოთქვამდა რწმენას, რომ

„დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
— მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს".

რეაქციის წყვდიადმა ვერ ჩაქრო პოეტში რევოლუციური ოპტიმიზმის რწმენა. იგი იმედით შეჰყურებდა ხალხის ბრძოლას და სჯეროდა მისი გამარჯვება. გალაკტიონი მტკიცედ იდგა იქ, სადაც ახალი ცხოვრების გრიგალები ჰქროდა. და ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქუთაისმა, მღელვარე და რევოლუციური ცხოვრების ქალაქმა. შემთხვეევითი არ არის, რომ სწორედ ქუთაისში 1914 წელს **გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველი წიგნი,** რომელიც ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

წიგნის ყდაზე გამოსახულია ყვავილოვრებელი ქართველი ქალი, რომელსაც ხელში თარი უჭირავს და დაჭიდინებს სგვდიან სიმღერას. სიმბოლურად ეს მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ მწარეა ჰანგებით იყო ღვინილი პოეტის გული 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

გადაწლით წიგნს, და შეიგრძნეთ ახალგაზრდა გალაკტიონი, მგზნებარე და ფეოლენრე ჭაბუკი, მაღალ ფიქრებს რომ გაუტაცია და რომანტიკულად გაკაკურებს ზორეულ სიკვდილებს. ალბათ იგი ამ პოეტურ განცვრეტაში ხელმესახებად აღიქვამდა პოეზიის ამ მწვერვალს, რომელზე ასვლაც მისი ხვედრი იყო.

წიგნში შესულმა ლირიკულმა შედევრებმა („მე და ღამე", „მესაფლავე", „განახლდა გული", „ბერიის მთები", და სხვ.) საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოიპოვეს. მათ ერთბაშად დაიმკვიდრეს ახალგაზრდა გალაკტიონს ნიჭიერი პოეტის სახელი.

ამ წიგნში გამოთქმულია დიდი ეროვნული სევდა. გამოწვეული ამ დროის სოციალური ფუფუ-მართობით. და თვითონ პოეტსაც ადვილად ეიფლება ამ ქვეყნისაგან გაქცევის ცდუნება. იგი ეძებს ახალ, სრულყოფილ სიცოცხლეს. მაგრამ თანდათან რწმენდება, რომ ეს არის განუზომლად ეფემერული ოცნება, რომ მისთვის „მარტოდენ ეუდაბნოა მთელი სოფელი". ამ ხანებში გალაკტიონის შთაგონება თანდათან იქცევა პირად, ინტიმურ გრძნობათა ოკეანეში. იგი საკუთარი „გულის სიღრმეში" ეწყვეტს „რომე ნათელს" ძიებას.

„დავზუმე თვალი, გულის
სიღრმეში
რომ დამენახა რამე ნათელი".

პოეტს მობეზრდა მყუდროება და ეუსახარელი ცხოვრება, მას სწყურდა ქარიშხალთან შეებმა, ალ ბრძოლა. მას ეუნდა იყოს ქმე დინი. გაარკვიოს „გასასვლელი გზის სიღრეცე ოკეანელი", მაგრამ გზაზე შავი ბერეული ლაკა, შავი ირონიაც ისევ ოსტაზიის ფი მართოლეარე გულში ეიმეფოდის ისრებს ეშვენს... გალაკტიონი ცდილან თქრის, განვარეტის სხეროში რჩება. იგი მარტოდმარტო და ობოლია ამ ქვეყანაზე.

საიდუმლოს არაფის ეუმხელს მხოლოდ ღამემ იცის მისი საიდუმლო. „ყვავილა იცის თეთრმა ღამემ".

გალაკტიონის პირველი წიგნი ორგანული ნაწილია ამ დიდი სულიერი მემკვიდრეობისა, რომელიც მრავალმხრივ ამდიდრებს ქართულ პოეზიის ოქროს ფონდს.

მოთხრობა

სერგო ფხაკაძე

ზმბანზე შეფენილ სოფლებში დიდი და პატარა ზვრებს შესცდა. პორიზონტზე სარკესავით მოჩანდა ალაზანი. კახეთის დედამდინარე, მისი ბალები. ყოველ კუთხეში დამკრასული ეურძნის და მაჭრის სუნი ტრიალებდა.

უცებ მიდამოს „მეზავრულის" ბანგები მოეფინა, ამას ცხენების თქარა-თქარიც მოჰყვა. გლეხებმა კალთებს ხელი უშვეს და გზისკენ გაემართნენ. მეფე ერეკლე ნადირობიდან ბრუნდებოდა.

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია...

ჩაესმა მეფეს ზვრებიდან წამოსული სიმღერა.

შეაგულ სოფელში შეეიდნენ.

ახლადგანაყოფილი აკაციებით დაჩრდილულ მარგილის ღობეს რომ გაუსწორდნენ, მხედრებს წინ მაღალი, ოდნავ შეჭაღარავებული გლეხი გადაუდგათ.

— მეფეო, განგებიანი კაცი ხარ, სამშობლოზე ზრუნვაში გათეთრებული და ისე ვერ გაგიშვებ, ჩემი ოჯახი თუ არ მოინახულე.

ერეკლე გაეცინა.

ცხენი შეაყენა.

მხლებლებიც შედგნენ.

— უარს ნუ მეტყვი, შენი კვნესაგან! — გაუმეორა თხოვნა გლეხმა და სიცილით განაგრძო, — ორი სიმღერა ძველი ღვინო შემომრჩა... დღეს უნდა დაილიოს.

— რას იტყვით? — მიუბრუნდა ერეკლე მხლებლებს.

— ნება თქვენია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— რამდენ გაურანდავ ყმას ხუშტური მოეკლოს... — ჭრელილით გადახედა გლეხს ჩალისფერ ცხენზე მჯდარმა ხშირწარბა, ჩასუქებულმა თავადმა, რომელიც ერეკლეს მხარმარცხნივ იდგა და აპრეხილ ულვაშს გამომწვევად იგრეხდა.

გლეხმა ხელი დია ჭიშკრისკენ გაიშვირა და ერეკლეს მიუბრუნდა, — წამბრძანდით, მეფეო.

ერეკლემ ულვაშპარეხილ თავადს პირმრისხანედ შეხედა, ცხენს ქუსლი ჰკრა და დია ჭიშკარში შეაგელვა.

სხვებიც მიჰყვნენ.

მეფე ეზოში შესულისთანავე ჩამოქვეიდა, ცხენი სამხრეთისკენ გადახრილ კაკლის ხეზე მიაბა და ჭიშკარში შემოსულ მასპინძლისკენ გასწია.

გლეხი გუმანით მიხვდა მეფის ჩანაფიქრს, ფეხს აუჩქარა და ხელების ფშვნეტით მისკენ გაეშურა.

— რა გქვია, კახელო? — ხელი გაუწოდა ერეკლემ.

— ნიკოს მეძახიან, ბატონო! — ქუდმოხდილი მიუახლოვდა მასპინძელი და აბედვითი გახმეშებული თითები მოკრძალებით შეაგება.

— როგორ ცხოვრობ?

— ვებრძვით მიწას და უყვეფრელ ლუკმასა ვჭამთ... ბატონსაც ვინახავთ და ეკლესიასაც თავისას გუსდით. ყველაფერს გავუძლებთ, ურჯულოები რომ არ გვაწიოკებდნენ... ნიტავი თუ მოვესწრებით, რომ შიშიანობა არ იქნეს, ბედნიერი და დოვლათიანი დრო დაგვიდგეს, ვაზი არავინ დაგვინახავს-როს! — თვალებში შეხედა ნიკომ მეფეს.

ერეკლე ჩაფიქრდა...

— თქვენი ჭირიმე, ნუ მოიწყენთ, მეფეო.

— უკვე გადაწყდა, ერთმორწმუნეთა ლაშქარი აღდგა, ჩვენს მიწაზე მტრები ვეღარ ითარეშებენ! — მეფემ ხელი აიქნია და უკანასკნელი სიტყვები მათრახის შუილს გაადევნა.

— იცოცხლე, მეფეო, შენი გერგილი ნუ მოგვეშალოს.

— გაიცანით, ჩვენი ნიკო! — გასძახა ერეკლემ მხლებლებს.

ყველა მიესალმა მასპინძელს.

— სასურველად გაწმინდეთ ნანადირევი ღორი, გაატყვევეთ ქუციკი! — უბრძანა ერეკლემ მსახურთ.

— არა, მეფეო, თქვენი ნანადირევი საჭირო არ არის. ცოდვა გატეხილი სჯობს, — ეიეცინა ნიკოს, — ღილოთ აღრე ციხის მთის გადაღმა, მტრის დასაფრენზე მიმავალნი დაგინახეთ... ვიცოდი ამ გზითვე დაბრუნდებოდით და... თქვენი საკადრისი არა, მაგრამ .. მე და ჩემმა ოდიკაცმა გლეხური საღილი მოგიმზადეთ. ვთხოვთ, შინ შეიბრძანდთ.

მასპინძელი სახლისაკენ გაუძღვა ერეკლეს. ტანნაკვთიანი პატარა კაი ღიმილით დაადგა მწვანე მინდორში გაკვალულ საკალფეხო გზას.

ამალა მიჰყვა.

დიასახლისი მორიდებით მიეგება სტუმრებს, გულზე ელამაზად დაიკრიფა ხელი და მეფეს თავი დაუკრა. მერე სწრაფად შემობრუნდა, ჭირმადალი სახლის განიერ ოთახში შეუძღვა.

დარბაზში შესულისთანავე ერეკლეს თვალები გაუბრწყინდა.

მოპრწყვეტილ კედლიდან დატოტილი ირმის რქები გადმოჰყურებდა, ცოტა ქვემოთ, ერთ მხარეზე ძველი მამაკაცური შუბი და ნშვიდღისარი ეკიდა, ხოლო მეორეზე — ფარ-ხმალი და კაკიანი სანადირო თოფი. მხარმარჯვნივ შინდისფერი ხამი ბატყლის ქსოვილით მოფარდაგული გრძელ სკამლოგინზე გაფიცხებული დოლი, ეკუნებიანი დაირა, ხიბ სასტვენელ-სალამური და ეგანი ეწყო. სკამლოგინთან იატაკზე გრძელბეწვიანი დათვის ტყავი დაეგოთ.

სუფრა გაშლილი დახვდათ. ნიკომ მარნიდან ჩაფით ღვინო მოარბენინა, მეფის მხლებლებიც მიეშვენდნენ, ხელადები აავსეს და ჩამოარიგეს.

მეფე და მისი ამალა სუფრას შემოესხდნენ.

ერეკლემ შუშხუნა ღვინით აჭიფეტული ჯამი აიღო და ნიკოს ოჯახი დაულოცა.

— ბრძოლებში ყოფილხარ?—ჰკითხა მასპინძელს.

— ბევრჯერ, მეფეო, ორი წლის წინათ ხუნანაფელ ომარ-ხანთან ომშიც გავლილი. გამუდმებულმა ბრძოლებმა ქვრივ-ობლები გაგვიმრავლა!— თავი გადაქანინა ნიკომ.

— ობლებს ეხმარებით?

— ჭირი და ლხინი ერთი გვაქვს, მეფეო.

— კარგია. — ერეკლემ ომში დაცემული ქართველი გუკეცების შესანდობარი შესვა.

ლხინი გრძელდებოდა, სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა.

— ნება მიმოიეთ, მოგახსენოთ, მეფეო, — შეზარხოშებულმა ნიკომ სუფრისკენ ნაბიჯი წადგა.

— ბრძანე! — ერეკლემ თვალებში ჩახედა.

— ომი, მეფეო, თქვენი ნანადირევი საჭირო არ არის. ცოდვა გატეხილი სჯობს, — ეიეცინა ნიკოს, — ღილოთ ადრე ციხის მთის გადაღმა, მტრის დასაფრენზე მიმავალნი დაგინახეთ... ვიცოდი ამ გზითვე დაბრუნდებოდით და... თქვენი საკადრისი არა, მაგრამ .. მე და ჩემმა ოდიკაცმა გლეხური საღილი მოგიმზადეთ. ვთხოვთ, შინ შეიბრძანდთ.

ბაბონიშვილი სახლისაკენ გაუძღვა ერეკლეს. ტანნაკვთიანი პატარა კაი ღიმილით დაადგა მწვანე მინდორში გაკვალულ საკალფეხო გზას.

ამალა მიჰყვა.

დიასახლისი მორიდებით მიეგება სტუმრებს, გულზე ელამაზად დაიკრიფა ხელი და მეფეს თავი დაუკრა. მერე სწრაფად შემობრუნდა, ჭირმადალი სახლის განიერ ოთახში შეუძღვა.

დარბაზში შესულისთანავე ერეკლეს თვალები გაუბრწყინდა.

მოპრწყვეტილ კედლიდან დატოტილი ირმის რქები გადმოჰყურებდა, ცოტა ქვემოთ, ერთ მხარეზე ძველი მამაკაცური შუბი და ნშვიდღისარი ეკიდა, ხოლო მეორეზე — ფარ-ხმალი და კაკიანი სანადირო თოფი. მხარმარჯვნივ შინდისფერი ხამი ბატყლის ქსოვილით მოფარდაგული გრძელ სკამლოგინზე გაფიცხებული დოლი, ეკუნებიანი დაირა, ხიბ სასტვენელ-სალამური და ეგანი ეწყო. სკამლოგინთან იატაკზე გრძელბეწვიანი დათვის ტყავი დაეგოთ.

სუფრა გაშლილი დახვდათ. ნიკომ მარნიდან ჩაფით ღვინო მოარბენინა, მეფის მხლებლებიც მიეშვენდნენ, ხელადები აავსეს და ჩამოარიგეს.

მეფე და მისი ამალა სუფრას შემოესხდნენ.

ერეკლემ შუშხუნა ღვინით აჭიფეტული ჯამი აიღო და ნიკოს ოჯახი დაულოცა.

— ბრძოლებში ყოფილხარ?—ჰკითხა მასპინძელს.

— ბევრჯერ, მეფეო, ორი წლის წინათ ხუნანაფელ ომარ-ხანთან ომშიც გავლილი. გამუდმებულმა ბრძოლებმა ქვრივ-ობლები გაგვიმრავლა!— თავი გადაქანინა ნიკომ.

— ობლებს ეხმარებით?

— ჭირი და ლხინი ერთი გვაქვს, მეფეო.

— კარგია. — ერეკლემ ომში დაცემული ქართველი გუკეცების შესანდობარი შესვა.

ლხინი გრძელდებოდა, სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა.

— ნება მიმოიეთ, მოგახსენოთ, მეფეო, — შეზარხოშებულმა ნიკომ სუფრისკენ ნაბიჯი წადგა.

— ბრძანე! — ერეკლემ თვალებში ჩახედა.

— ომი, მეფეო, თქვენი ნანადირევი საჭირო არ არის. ცოდვა გატეხილი სჯობს, — ეიეცინა ნიკოს, — ღილოთ ადრე ციხის მთის გადაღმა, მტრის დასაფრენზე მიმავალნი დაგინახეთ... ვიცოდი ამ გზითვე დაბრუნდებოდით და... თქვენი საკადრისი არა, მაგრამ .. მე და ჩემმა ოდიკაცმა გლეხური საღილი მოგიმზადეთ. ვთხოვთ, შინ შეიბრძანდთ.

ბაბონიშვილ ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია...

ჩაესმა მეფეს ზვრებიდან წამოსული სიმღერა.

შეაგულ სოფელში შეეიდნენ.

ახლადგანაყოფილი აკაციებით დაჩრდილულ მარგილის ღობეს რომ გაუსწორდნენ, მხედრებს წინ მაღალი, ოდნავ შეჭაღარავებული გლეხი გადაუდგათ.

— მეფეო, განგებიანი კაცი ხარ, სამშობლოზე ზრუნვაში გათეთრებული და ისე ვერ გაგიშვებ, ჩემი ოჯახი თუ არ მოინახულე.

ერეკლე ჩაფიქრდა...

— თქვენი ჭირიმე, ნუ მოიწყენთ, მეფეო.

— უკვე გადაწყდა, ერთმორწმუნეთა ლაშქარი აღდგა, ჩვენს მიწაზე მტრები ვეღარ ითარეშებენ! — მეფემ ხელი აიქნია და უკანასკნელი სიტყვები მათრახის შუილს გაადევნა.

— იცოცხლე, მეფეო, შენი გერგილი ნუ მოგვეშალოს.

— გაიცანით, ჩვენი ნიკო! — გასძახა ერეკლემ მხლებლებს.

ყველა მიესალმა მასპინძელს.

— სასურველად გაწმინდეთ ნანადირევი ღორი, გაატყვევეთ ქუციკი! — უბრძანა ერეკლემ მსახურთ.

— არა

• დედაქალაქის პეიზაჟები •



თბილისი ღამით.

ფოტო ილ. ბაქვისა.

საქართველოს ქთა და ბარეში

ტურისტული გილიკები

ონი. (საკ. კორ.). შოვის ტურბაზა მწრომელთა დასვენების ერთ-ერთი შესანიშნავი კერაა. ჩრდილოეთ კავკასიიდან შოვში ორი საკავშირო ტურისტული მარშრუტი მოემართება. მიმდინარე სეზონის განვლილ პერიოდში მამისონის უღელტეხილი, რომელიც ზღვის დონიდან 2.800 მეტრზე მდებარეობს, უკვე გადმოლახა 2,600-მდე ტურისტმა, ფასის მთის გასასვლელიდან კი 1.100-ზე მეტი კაცი ჩამოვიდა. ტურისტები გაეცნენ რაჭის კავკასიონისა და ონის რაიონის ღირსშესანიშნაობებს. 3.689 კაცმა უკვე მიიღო ტურისტის სამკერდე ნიშანი.

ტურისტული ბაზის სისხლსავსე ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ადგილობრივ მარშრუტებს და თვითმოქმედ ტურისტებს. ამ მარშრუტებით უკვე 323 კაცმა ისარგებლა. ტურბაზა მოემსახურა 710 თვითმოქმედ ტურისტს.

წელს შოვის ტურბაზა კიდევ რამდენიმე ათას სტუმარს მიიღებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ბალტიისპირეთიდან, ციმბირიდან და ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან.

სოფელს წყარის წყალი

ზუახეში. (საკ. კორ.). სოფელ ბუთურაულის ცენტრში წყალი არ იყო. კოლმეურნეობის გამგეობის თაოსნობით სოფლის მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს, და ახლა სოფლის ცენტრში დიდვაკიდან გამოყვანილი ანკარა წყარო მოჩუხჩუხებს.

წყლით უზრუნველყოფილია სკოლა და სოფლის სხვა დაწესებულებებიც.

ღელფინარიუმი გათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). რამდენი რამ დაწერილა ღელფინებზე. ამ უაღრესად განვითარებულ ცხოველებს ადამიანმა დიდი ხანია მიაქცია ყურადღება, და შეიძლება ითქვას, კიდევაც დამეგობრდა. ამჟამად ღელფინებზე მეცნიერული დაკვირვებები ეწყობა.

საბჭოთა კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროში გადაწყდა ღელფინარიუმი აიგოს ბათუმში. მშენებლობა მომავალი წლის ზაფხულში დამთავრდება.

როგორი იქნება ღელფინარიუმი? იგი შედგება სამი რეზერვუარისაგან, ცენტრალური რეზერვუარების სიგრძე იქნება 40, სიგანე — 17, ხოლო სიმაღლე 5 მეტრი. ღელფინარიუმში იწარმოებს მეცნიერული დაკვირვება და წვრთნა.

„ქომუნისტის“ ინტერვიუ

„ბედნიერი“ ბურთები

11 ათასი სპორტული რელიკვია

ქუთაისი. (საკ. კორ.). 21-ე პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგი, ყოფილი სპორტსმენი ზურაბ ჯავახაძე ათი წელია გულმოდგინედ აგროვებს სპორტულ ნივთებს, და ახლა მისი კოლექციის 11 ათასი ძვირფასი რელიკვია მოგვითხრობს ქართული საბჭოთა სპორტის წარსულსა და აწმყოზე.

უნიკალურ ექსპონატებს შორის არის ბურთი, რომელმაც სამხრეთ ამერიკაში გათამაშებული ფინალური მატჩის დროს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუპოვა სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებ გუნდს. აქვეა ამავე მატჩის გმირის ზურაბ საკანდელიძის — „საუკეთესო მცველის“ — პრიზი, სლავა მეტრეველის ის მაისური, რომლითაც საბჭოთა ნაკრების ფორვარდი ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატში გამოდიოდა, და კიდევ ის „ბედნიერი“ ბურთი, რომლითაც 1961 წლის შემოდგომაზე ქუთაისის „ტორპედო“ თამაშობდა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ფინალურ მატჩში.

ბევრმა ცნობილმა სპორტსმენმა კოლექციონერს გადასცა მათ მიერ მოპოვებული მედლები, სპეციალური პრიზები და ჯილდოები, სამახსოვრო ხაჩუქრები. კოლექციაში თავმოყრილია ავრეთვე სხვადასხვა გათამაშებათა თასები, მედლები, ვიმპელები, ფოტოდოკუმენტები.

სპორტის ტრფიალს არც წარსულის ამბები გამორჩენია. მის ხელთ არის ძველებური ფოტოსურათები და აფიშები, რომლებიც ქება-დიდებას ახსომენ ცნობილ ოუ გოლიათს ივანე პოდუბნის, ქართველ ფალავნებს — გამოჩენილ მოჭიდავეებს სანდრო კანდელაკს, კოლია ქვარიანს, ლადო ქიზიყელს, კოსტა მაისურაძეს. მანვე მიაგნო ძველ სპორტსმენთა პირად არქივებსა და საინტერესო ნივთებს.

ყველა ეს რელიკვია მალე იმ კეთილმოწყობილ შენობაში გადაინაცვლებს, რომელიც პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის დახმარებით კოლექციონერს მუზეუმისათვის გამოუყვეს.

„ქომუნისტის“ ინტერვიუ

ჩვენი კულტურის მეგობარი

● პოლონელი ქართველოლოგის გეგმები

● ვინ იცნობდა ირინე სსირტლაძეს?

3არშაპის უნივერსიტეტის ძველი აღმოსავლეთის ფილოლოგიის კათედრის დოცენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის იან ბრაუნის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი საენათმეცნიერო საზოგადოებისათვის. პოლონელი მეცნიერი ლოძის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კურსის დამთავრების შემდეგ აქ, ჩვენთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა ასპირანტურაში და თბილისშივე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი შრომის თემა იყო „ქართული ზმნის მრავალპირიანობა“. აქვე ის სწავლობდა სხვა კავკასიურ ენებსაც. მან განსაკუთრებით კარგად შეისწავლა ქართული ენა, რამაც დიდ დახმარებას უწევდნენ ქართველი მეცნიერები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. შანიძე, აგრეთვე ამხანაგები და მეგობრები.

საქართველოში ყოფნისას იანი კარგად გაეცნო ჩვენს კულტურას, ისტორიას, ხელოვნებას და გულით შეიყვარა ქართველი ხალხი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც იგი კვლავ აგრძელებს მეგობრულ ურთიერთობას საქართველოსთან და პოლონეთში ფართოდ უწევს პროპაგანდას ქართულ კულტურას.

ამ დღეებში პოლონელი მეცნიერი გვიწვია რედაქციაში. იგი საქართველოში ჩამოსულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ზურაბ ჯუმბურიძის მოწვევით. იან ბრაუნი შესანიშნავი ქართველი გვესაუბრებოდა, გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

იან ბრაუნს ვთხოვეთ მოეთხრო თავის მოღვაწეობაზე, თუ როდის დაინტერესდა იგი ქართული ენით და რაზე მუშაობს ამჟამად.

— ჯერ კიდევ ლოძის უნივერსიტეტში სწავლისას დავინტერესდი ძველი საბერძნეთისა და მცირე აზიის უძველეს სახელმწიფოთა შორის ენობრივი და კულტურული ურთიერთობით. სამეცნიერო ლიტერატურაში არის ასეთი მოსაზრება, რომ ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი კავკასიური ენაა და მას კავშირი აქვს ძველი აღმოსავლეთის ენებთან. გადავწყვიტე შემესწავლა ქართული ენა და ეს მიზანი შევასრულე კიდეც.

ამჟამად ვარშავის უნივერსიტეტში ვკითხულობ ზოგად ენათმეცნიერებას, ამავე დროს ვაგრძელებ მუშაობას კავკასიური ენების შესწავლაზე. აღვწერე და გამოვეცი კრაკოვის ჩარტორისკების მუზეუმში დაცული მე-11-12-14 საუკუნეების ქართული ხელნაწერები, რომლებიც საინტერესო ხასიათის ტექსტებს შეიცავს.

საენათმეცნიერო მუშაობასთან ერთად ვეწევი მთარგმნელობითს მოღვაწეობას. პოლონურ ენაზე ვთარგმნე და გამოვეცი ნ. ბარათაშვილის „მერანი“, აკ. წერეთლის „სულიკო“, გ. ლეონიძის რამდენიმე ლექსი.

აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების ორგანოში პოლონელ არმენოლოგ კაზიმირ როშკოსთან ერთად ლურ ენებთან კავკასიური ენების გენეტიკური კავშირის შესწავლაზე, მაქვს ამ თემაზე გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია.

უკანასკნელ დროს, ძველ ხეთურ ხელნაწერთა არქივის ლუსსნული ტექსტების გაცნობისას შევამჩნიე, რომ ამ ტექსტებში გადმოცემულ მითოლოგიური ხასიათის ამბებს მსგავსება აქვს ქართულ ხალხურ ეპოსთან „ამირანიანთან“. ამ თემაზე მინდა დავწერო სპეციალური ნაშრომი.

აი ისინიც, ვინც განისვენებენ შორეულ პოლონეთის მიწაში: მაიორი ზაქარია გორზოლშვილი, დაბადებული 1915 წ. დაიღუპა 1944 წ. 10 აგვისტოს; უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ მიხელიძე, დაიღუპა 1944 წ. 19 აგვისტოს; ოფიცერი ლიმიტრი ქუთაისელიშვილი, 1915 წ. დაბადებული; უფროსი ლეიტენანტი ნარსია, კოპაძე, უფროსი ლეიტენანტი ალმასხანდრეულიძენია, დაიღუპა 1944 წ.

იანმა მოგვაწოდა აგრეთვე ამაღლებული ცნობა ქართველ ქალიშვილზე — ირინე სსირტლაძეზე, რომელიც მონაწილეობას იღებდა ვარშავის ცნობილ აჯანყებაში 1944 წელს. ის იყო ახალგაზრდული გმირული ბატალიონის „პარასოლის“ მეკავშირე. მისი ფსევდონიმი ყოფილა „ირკა“.

14 სექტემბერს გერმანელმა ფაშისტებმა ირინე სხვა მის თანამონაწილე პატრიოტებთან ერთად დახვრიტეს. ეს ცნობები იან ბრაუნმა ამოიკითხა ირინეს საფლავზე. ქართველი ქალიშვილი დაკრძალულია პოვონსკის სასაფლაოზე. ირინე მაშინ 16 წლისა ყოფილა. იგი დაჯილდოებულია მამაცობის ორდენით.

საინტერესოა, იქნებ ვინმე იცნობდა ირინე სსირტლაძის მამას, ან მის ნათესავებს და მოგვაწოდებენ ცნობებს ქართველ გმირ ქალიშვილზე.

ვარშავის უნივერსიტეტის მემორიალურ დაფაზე, სადაც აღნიშნული არიან გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული მეცნიერები, არის ქართველი პროფესორის გრიგოლ ფერაძის გვარი. ის გესტაპოელებმა დაპატიმრეს იატაკქვეშელებთან კავშირისათვის და აწამეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში.

ლარისა ხუბულური.



სურათზე: იან ბრაუნი.

ნაირ-ნაირი

თაიგული არ ჭკნება... ერთი თვის მანძილზე

მოწყვეტილი ყვავილი არასოდეს არ არის მკვდარი, იგი ჭკნობის დროსაც ცოცხლობს. ა. კუპრინის ეს სიტყვები მეცნიერულად შეუძლია დაადასტუროს ყოველმა ბიოლოგმა. არსებობს ბევრი ხალხური წესი თაიგულის შესანახად. მაგალითად კალმებს მოსწვავენ ხოლმე მოჭრის ადგილს, რათა კაპილარებში არ შეაღწიონ ბაქტერიები. ზზირად ლარნაკებში შაქარსაც ყრიან. იყენებენ სამკურნალო ნივთიერებებსაც, მათ შორის ასპირინსაც. ყოველივე ეს საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე დღით ახანგრძლივებს ყვავილთა სიცოცხლეს.

მაგრამ ასეთი მოკლე დრო, თურმე, ზღვარი როდი ყოფილა, როცა დასახმარებლად იყენებენ ჯადოქარ ქიმიას. ლაბორატორიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკურ ბაღში წრმატებით აწყობენ ექსპერიმენტებს ზოგიერთი შენაერთის გამოსაკვლევად, რომლებსაც ქარვამუავას ფუძეზე იღებენ. რესპუბლიკის მეცნიერების მიერ დასინთეზებულ თავისებურ „ელექსირებს“ ახასიათებს მაღალი ფიზიოლოგიური აქტიურობა და ზემოქმედებას ახდენენ უანგვითს პროცესებზე მცენარეთა ქსოვილებში. დადგენილია ხსნარების კონცენტრაცია თვითეული გარკვეული სახეობის ყვავილისათვის. ამ გზით დეფისპირა და ფრეზია ინახება ორ კვირას, ვარდი — თექვსმეტ დღეს, მიხაკი კი ერთ თვეზე მეტ ხანს.

ბოტანიკოსები ახლა ამუშავებენ დაწვრილებითს რეკომენდაციებს, რომლებითაც შეუძლიათ ისარგებლონ მოყვარულ მეყვავილეებს და პროფესიონალებს. მეორე პრობლემა, რომელიც უურადღება მიიპყრო, დაკავშირებულია მოკრეფილი ყვავილების დიდ მანძილზე გადატანასთან. აქაც მეცნიერები ამირებენ გამოსცადონ სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ვაკუუმური კონსერვაციაც. ასეთი მიზნის მიღწევა საშუალებას მოგვცემს პრაქტიკულად თითქმის მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოთ ცოცხალი ყვავილებით ქვეყნის ყველა ქალაქი.

თახვები მოვიდნენ

ტამბოვის ოლქის მიჩურინის რაიონის რანენის ტყის მდინარეების მახლობლად გაჩნდა სიკეთენი. საკვებენი თახვების ნახელავია, რომლებიც ახლა ამ ადგილებში ბინადრობენ. წინათ ისინი აქ არასოდეს არა ყოფილან.

ნადირობისმცოდნე სპეციალისტების აზრით, თახვები ვორონეჟის ოლქის „გრაფსკაიას“ ნაკრძალიდან გადმოსახლებულნი. ძნელია თქვას, თუ რატომ შეიცვალეს მათ ადგილსამყოფელი. ერთი კი ცხადია, რომ „ეაბალმშენებლებს“ ახალ ადგილს დამკვიდრება გადაუწყვეტია.

ვინ მოიპოვებს თასს?

მეექვსეჯერ თამაშდება სსრ „ავშირის თასი“ „კალათბურთში. სასიხარულოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ასპარეზობის დასკვნითი ეტაპის მონაწილეთა რიგებში ვხედავთ.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდების ნახევარფინალური და ფინალური მატჩები შედგება თბილისში 13 და 14 სექტემბერს სპორტის სასახლეში. დღეს შედგება ნახევარფინალური მატჩები, ხვალ ფინალური შეხვედრები.

ქალთა ნახევარფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის, მოსკოვის „დინამოს“, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ გუნდები: ვაჟთა გუნდებიდან გამოვლენ — კიევის „სტროიტელი“, ტარტუს „ალვანი“ და თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები.

ქომუნისტი სპორტი

გაიმარჯვეს საბჭოთა მსროლელებმა

სოხუმი, 12 სექტემბერი. (საქდესი). შვიდი დღის განმავლობაში ეშერის ახალ სასროლეთზე მიმდინარეობდა სოციალისტური ქვეყნების სპორტულ ორგანიზაციათა II პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ლევსკი-სპარტაკი“ (ბულგარეთი), „დოჟა“ (უნგრეთი), „დინამო“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), „ალდარი“ (მონღოლეთი), „გვარდია“ (პოლონეთი), „რუდა გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია) და „დინამო“ (სსრ კავშირი).

თვითეული გუნდის შემადგენლობაში შედიოდა ათ-ათი კაცი. შეჯიბრება წარმოებდა მცირეკალიბრიანი შაშხანისა და ნებისმიერი პისტოლეტის სროლაში 50 მეტრზე, რევოლვერ-პისტოლეტის სროლაში — 25 მეტრზე და საბრძოლო ნებისმიერი შაშხანის სროლაში 300 მეტრზე.

საბჭოთა კავშირის დროშებს იცავდნენ მეხიკოს ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი გრიგოლ კოსიხი, უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებული და პრიზიორები ალექსანდრე ბერეზინი, ალექსანდრე ზაბელინი, შოთა ქელეთაშვილი, თამარ ჩერკასოვა და სხვები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა მსროლელებმა, რომლებმაც 80 ქულა მოაგროვეს. შემდეგ ადგილებზე არიან პოლონელები და რუმინელები.

მხოლოდ ერთი ეროვნული რეკორდი გაუმჯობესდა ეშერის სასროლეთზე. ეს შეძლო „რუდა გვეზდას“ გუნდმა მცირეკალიბრიანი შაშხანის 50 მეტრზე წოლილა სროლაში. მისი შედეგია 1.572 ქულა 1.600 შესაძლებელში.

საბჭოთა მსროლელების გამარჯვებაში საგრძნობი წვლილი შეიტანა შოთა ქელეთაშვილმა. საბრძოლო ნებისმიერი შაშხანის სროლაში 300 მეტრზე ჩოქილა მდგომარეობიდან მან პირველი ადგილი დაიკავა (386 ქულა) და ორგზის ამავე ვარჯიშში შეიკრა საპრიზო სამეულში.

ჯაპაბლანკას მემორიალი

ბავანაში დასასრულს უახლოვდება გენიალური კუბელი მოჭადრაკის კაპაბლანკას ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. გეთამაშება 12 ტური. წარმატებით გამოდიან საბჭოთა გროსმაისტერები ა. სუეტინი და ვ. კორჩნოი, რომლებიც ლიდერობას ინარჩუნებენ. ა. სუეტინს 9.5 ქულა აქვს, ვ. კორჩნოის — 9 ქულა.

რამდენიმე სტრიქონით

● ბუდაპეშტში გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში „უნგრეთის თასზე“. მორიგი მატჩი საბჭოთა წყალბურთელებს ჰქონდათ იტალიის გუნდთან. შეუპოვარი ბრძოლა ფრედ — 5:5 დამთავრდა. იტალიელები ლიდერობას ინარჩუნებენ.

● ბუენოს ქალაქ ლუნგვეში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის „ბალტიკის თასზე“. მორიგ შეხვედრაში საბჭოთა ხელბურთელებმა დაამარცხეს შვეიცის მეორე გუნდი 28:16.

● ბუენოს სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაეგზავნა, სადაც დღეს იწყება მსოფლიოს თასის გათამაშება. პირველი მატჩი ჩვენს ფრენბურთელებს ექნებათ ბულგარეთის გუნდთან.

მარგიტას რეკორდი დაიბრუნა

ბერლინი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება ბერლინში — უკანასკნელი „რეპეტიცია“ ევროპის ჩემპიონატის წინ — ახალი მსოფლიო რეკორდით დაგვირგვინდა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 28 წლის მარგიტა გუმელმა ბირთვი ჰკრა 20 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე — ერთი სანტიმეტრით შორს ალმიდან, რომლითაც ლენინგრადელი ნადეჟდა ჩიჩეროვამ მსოფლიო მიღწევა იყო აღნიშნული. მეხიკოს ოქროს მედლის მფლობელმა დაიბრუნა მსოფლიო რეკორდსმენის წოდება. იგი ქალთა მძლეოსნობის ისტორიაში მეორე სპორტსმენია, რომელმაც ბირთვი ჰკრა 20 მეტრიან ზღვარს იქით.

გუმელის ცდების მთელი სერია ამ შეჯიბრებაში ასეთი იყო: 18.98-18,96 - 18,50 - 19,61 - 19,31-20,10.

□

მეხუთე „რაუნდი“

მოსკოვი, 11 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს სრულიად საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეხუთე ტურში უუბოვიცკი დამარცხდა პოლუგაევსკი თან, ალექსანდრე ზაიცევმა დაამარცხა ლუტიკოვი, პეტროსიანმა — სავონი, პლატონოვმა — ტუმკოვი, ფურმან-სმისლოვი, ტალგუფილდის, ვასიუკოვ-ტამანიანოვის, შტეინ-ხოლმოვის, გიპსლის-ლიბერზონის, ავერკინ-იგორ ზაიცევის, ბალაშოვ-გელერის პარტიები ყოფილთ დამთავრდა.

გაზეთ „ქომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციასა და იმ პირებს, რომელთაც თანაგრძნობა გამოგვიცხადეს არჩილ ალექსანდრეს-ძე გიგოშვილის გარდაცვალების გამო და პატივი სცეს მის ხსოვნას.

არჩილ გიგოშვილის ოჯახი.

ამინდი

კვლავ დათბება

უჩვეულო ამინდებით დაიწყო შემოდგომა ჩვენში. სექტემბრის დასაწყისში, 1-დან 6 სექტემბრამდე საქართველოში იყო მშრალი, მზიანი დღეები, შემდეგ კი მოხდა ამინდის მკვეთრი შეცვლა, დაიწყო წვიმები, აგრილდა.

— რამ გამოიწვია ამინდის ასეთი მკვეთრი შეცვლა? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თბილისის ამინდის ბიუროს უფროს სინოპტიკოსს ნ. ძამაშვილს. — ი რა გვიპასუხა მან:

— სექტემბრის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე წარმოიშვა ჰაერის ცივი მასა, რომელიც დაიძრა აღმოსავლეთისაკენ. გადმოლახა მთელი დასავლეთი ევროპა, საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ცენტრალური რაიონები და მიაღწია ურალის მთების სამხრეთ რაიონებამდე, რამაც გამოიწვია მკვეთრი აცივება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ცივი ჰაერის მასებმა შემოკრა იგი კავკასიაში, როგორც დასავლეთიდან — შავი ზღვის, ისე აღმოსავლეთიდან — კასპიის ზღვის მხრიდან, რის გამო მთელ საქართველოში მოხდა ტემპერატურის მკვეთრი დაწევა. ამან თავის მხრივ გამოიწვია მნიშვნელოვანი წვიმები.

7 სექტემბერს ღამით დიდი წვიმები მოვიდა ჩაქვში, ბათუმში, ზუგდიდში. ასევე დიდი ნალექები აღინიშნა 9 სექტემბერს ფოთში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, ბათუმში. ამ დღეებში უხვი ნალექები იყო აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში.

თუ 7 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მაქსიმალური ტემპერატურა იყო 24-26, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 24-27 გრადუსი, 9 სექტემბერს მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთში აღინიშნა 19-22, აღმოსავლეთ საქართველოში კი 14-19 გრადუსი.

ჰაერის ცივი გარემოს შემოკრა უკვე მთავრდება, ამის შემდეგ გამოიდარებს, კვლავ დათბება.

13 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, აღმოსავლეთ საქართველოში კი, კერძოდ, კახეთისა და ქართლის ზოგიერთ რაიონებში, აგრეთვე თბილისში — უმნიშვნელო წვიმა. ტემპერატურა 19-21 გრადუსი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

14 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები მ. კრისტალინსკაიას, ე. ჰილისა და კვარტეტ „ჰორდის“ შესრულებით. 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“. 11.00 — „პიონერთა დაფიონი“ (მოსკოვი), 11.45 — დ. ჩხეიძე. მესამე საფორტეპიანო კონცერტი, 12.05 — მუსიკალური რადიოფაქტი, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, კონცერტი-საუბარი „კ. ორფი“, 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „მეფოლის ბედი“ (ნაწილი პირველი), 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“. ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — რ. ინანიშვილი, ორი მოთხრობა, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — ო. გორდელი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 17.30 — „მეგითხრობთ კომუნისტებზე, 17.45 — — გლაზუნოვი. ფრაგმენტები ბალეტიდან „რაიმონდა“ 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — ციკლიდან „დიადი სახე“, რადიოდადგმა „არის ასეთი პარტია“, (მოსკოვი), 19.40 — „საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.30 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — ბორჯომის რაიონი, 21.00 — კონცერტი ბორჯომის რაიონის მშრომელთა თხოვნით, 21.30 — ჯ. საზერლიდისა და ჯ. ბეკის კონცერტი, 22.50 — ლ. იასვილი. სიმღერები, 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

13 სექტემბერი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „იყავით ბედნიერნი!“ ლილის გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ცოდნა“ — სამეცნიერო შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა ოდესიდან), 12.00 — „მელოდიიდან — მელოდიამდე“, 12.30 — კინოპროგრამა, 13.00 — „ო, მოდა, მოდა!“ (4 სექტემბრის გადაცემის გამეორება), 13.40 — კინოპროგრამა, 14.35 — „მოწოდება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „ცოდნა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ხარკოვიდან), 15.30—ფერადი ტელევიზიის პროგრამა: 1. ბავშვებისათვის: „პატარა პინგვინი“ — საბერელეთის სპექტაკლი: 2. „იქ, სადაც ფილმები იბადება“ — რეპორტაჟი კინოსტუდია „მოსფილმიდან“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00—ჯანმრთელობა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — კინონარკვევი, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05—ახალი ამბები, 18.10—კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — „ქომკავშირული აქტივის ტრიბუნა“, 18.40 — კონცერტი, 19.10 — კინონარკვევი, 19.20 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“! ადიგენის რაიონი. 20.00 — ნახევარფინალური შეხვედრა საბჭოთა კავშირის თასზე ქალათბურთში (რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან), 21.30—„მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.55 — მხატვრული ფილმი „ოქროს კერპი“ (პირველი სერია).

თეატრები

13 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზურნეები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ჩვენ ვფიქრობთ ბარათაშვილზე (№ 36 ბინა. დღის 5 ს. და 30 წ.), ფილარმონიის საზაფხულო — სიესტრადო კონცერტი — სადა ხარ, მიშა ოდესელო?!!

რედაქტორი

დ. მეიდლიშვილი.

ქომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 93-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-53, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი ფილიალები და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 03421

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.